საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/78

ქ. ბათუმი 26 ივნისი 2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის განისაზღვროს შიდა მობილობის ვადები:**

1.1 ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) და სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილი პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2018 წლის 19, 20, 23 ივლისის ჩათვლით;
ბ) კრედიტების აღიარება - 2018 წლის 27 ივლისი;
გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის განცხადებების მიღება - 2018 წლის 27, 30 ივლისის ჩათვლით;
დ) ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2018 წლის 3 აგვისტო.

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**